ქალთა ემანსიპაციის საკითხები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში (გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა")

მარიამ შანშიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედიისა და კომუნიკაციის (პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით პაიჭაძე (სრული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი:

აბსტრაქტი 2

შესავალი 3

თავი I. საკითხის კვლევის ისტორია საქართველოში 5

თავი II. ფემინიზმი და ქალთა მოძრაობის განვითარების ისტორია 14

თავი III. კვლევის შედეგები 20

დასკვნა 49

ბიბლიოგრაფია 51

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ,,ქალთა ემანსიპაციის საკითხები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში'' ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის პერსპექტივას ასახავს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოვარკვიოთ, თუ როგორი ვითარება იყო ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით XX საუკუნის დასაწყისში; რა სტერეოტიპები და დამოკიდებულება არსებობდა მათ მიმართ საზოგადოებაში და ამ ყველაფერმა როგორი ასახვა ჰპოვა მაშინდელ ქართულ პრესაში, კერძოდ კი გაზეთში ,,ხმა ქართველი ქალისა''.

კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კონტენტანალიზი. ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები და თემები, რომლებზეც აქტიურად წერდნენ მაშინდელი ქართველი ქალები.

1917-1918 წლების გაზეთ ,,ხმა ქართველი ქალისას'' ნომრებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებისთვის ქალთა ემანსიპაციის თემა აქტუალურია, მედია კი ინტენსიურად აშუქებს მას.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან შედგება. შესავალი წარმოაჩენს თემის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას. ძირითადი ნაწილი სამ ქვეთავად იყოფა: პირველ თავში საუბარია საკითხის კვლევის ისტორიაზე, მეორე თავი ქალთა მოძრაობის განვითარების ეტაპებს მოიცავს, ხოლო მესამეში თავმოყრილია მონიტორინგის შედეგები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგად მღებული მონაცემები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფემინიზმი, ქალთა მოძრაობა, კონტენტანალიზი, ქალთა ემანსიპაცია, გენდერული სტერეოტიპები

,,ქალთა სწორუფლებიანობა დაასწავლის მამაკაცებს შეხედონ ქალებს, როგორც თანასწორ არსებათ და არა როგორც მონას, რომლის ყიდვა, გაუპატივრება, დამცირება და გადაგდება შესაძლებელია. ჩვენ ვიცით, თუ როგორი ფიზიკურ და სულიერ სიმახინჯემდე მიიყვანა კაცობრიობა დედაკაცის ზნეობამ. დავინახოთ ისეც, თუ როგორი სიწმინდემდე და კეთილშობილებამდე მივაღწევთ ჩვენ მისი ემანსიპაციით'' (სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე 1917, 4).

ქალთა საკითხების პრობლემატიზაცია საქართველოში XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ოჯახური მყუდროებიდან გამოსული ქალები თავიანთი უფლებების დასაცავად ერთიანდებიან და გენდერული თანასწორობის დასაბუთებული მოთხოვნით ბრძოლას იწყებენ. ისინი აარსებენ საზოგადოებებს, ქმნიან კლუბებს, გამოსცემენ ჟურნალ-გაზეთებს, წერენ წიგნებს და ამ ფორმით ცდილობენ, მათ მიმართ არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეცვალონ. ეს ის პერიოდია, როცა მსოფლიოში მკვიდრდება აზროვნების ახლებური ტიპი, ჩნდება განსხვავებული მოთხოვნილებები. დასავლეთიდან შემოდის განმანათლებლობისა და რაციონალიზმის იდეები, რომელთაგანაც თანასწორობის იდეა ერთ-ერთი პირველია.

,,ტფილისის ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება'', ,,წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება'', ,,მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების ტფილისის საზოგადოება'', ,,სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება'', ,,თელავის ქალთა ერთობა'', ,,ხონის ქალთა წრე'', - ეს იმ ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველმა ქალებმა შექმნეს. მათ შორის იყო ქუთაისის ქალთა არაფორმალური გაერთიანება - ქალთა კლუბი. სწორედ მათი აქტიურობითა და თაოსნობით დაარსდა გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა'', რომელიც ქალთა საკითხებს ფართოდ აშუქებდა.

,,ხმა ქართველი ქალისა'' არის პირველი ქართული გაზეთი, რომელიც მთლიანად ქალთა თემებზეა ორიენტირებული. იგი ქუთაისში 1917-1918 წლებში გამოდიოდა და ერთგვარი ტრიბუნა იყო მაშინდელი ქართველი ქალებისთვის, რომლებიც თავიანთი უფლებრივი მდგომარეობისა და ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესებისთვის იბრძოდნენ. ქალები, საქართველოს ყველა კუთხიდან, აქ წერდნენ თავიანთი პრობლემების შესახებ და საზოგადოებასაც ამ გამოცემის მეშვეობით მოუწოდებდნენ, რომ მათთან დაკავშირებული დამახინჯებული შეხედულებები შეცვლილიყო. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ იწყებოდა ქალთა აქტივობა საქართველოში და როგორ აისახებოდა გენდერული საკითხები მედიაში. სწორედ ამიტომაც შევარჩიეთ საქართველოში ქალთა მოძრაობის ისტორიის საკვლევად აღნიშნული გაზეთი. ვფიქრობთ, გამოცემის თითოეული ნომრის შესწავლა საკმარის წარმოდგენას შეგვიქმნის არა მარტო ქალთა პრობლემებისა და მათი მდგომარეობის შესახებ, არამედ გარკვეულ ინფორმაციასაც მოგვცემს იმ სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებებზე, რომელიც ქალის როლთან დაკავშირებით გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა.

ჩვენი ამ თემით დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ ზემოხსენებული გაზეთი აქამდე არ შესწავლილა. შეიძლება ითქვას, რომ ქალთა ემანსიპაციის თემაზე ჩატარებული ფუნდამენტური კვლევები და პუბლიკაციები საქართველოში არც ისე ბევრია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ ობიექტად გაზეთი ,,ხმა ქართველი ქალისა'' შეირჩა. ვინაიდან კვლევის მიზანია საკითხის შინაარსობლივი მხარეების შესწავლა და კონკრეტული თემების გამოყოფა, იგი თვისებრივი ხასიათისაა. კვლევის მეთოდად კი კონტენტანალიზს გამოვიყენებთ.